ᲙᲘᲠᲘᲚᲐ 3 ᲝᲥᲢᲝᲛᲑ. ᲤᲐᲡᲘ 10 ᲙᲐᲞ.

№ 32. -სალამური.
ყოველ-კვირეული იუმორ. ჟურნალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„აჩქარებითა სოფელი არავის მოუკამია!“

ლიტოგრაფია ს. ჯიხოვისა.

თფილისის სხვადასხვა უნივერსიტეტში გაცხარებული მუშაობაა!

„ხერხი ხეობია ლონისა, თუ კაცი მოიგონებსა“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩვენებური ქალაქის მამები ჩინებულათ სარგებლობენ ქალაქის კასსების სიცალიერით შავ-ბირთან საბრძოლველათ.

უეშმაკესი ძანიფესტი!

მოწუალენო ხელმწიფენო!

არა ერთგზის გვსმენია განსაკუთრებული ქება მოღვაწეობისა თქვენისა ხალხისა და სამართლიანობის წინაშე. თფილისის სახალხო უნივერსიტეტს არ შეუძლია არ იგულვოს თავი თვისი სამაგალითოდ და მისაბაძ დაწესებულებათ სხვათა ამგვარ საზოგადოებათა. მეტადრე ამ განვლილი ზაფხულის მოღვაწეობა, როცა ზედიზედ იშლებოდა კრება ამა საზოგადოების გამგეობისა, საკმაო წევრთა დაუსწრებლობისა გამო, ნებასა და მოვალეობას გვადებს ჩვენ, მბრძანებელს სრულიად ჯოჯოხეთისას, აღვნიშნოთ თქვენი ღვაწლი მომავალი თაობის სახელმძღვანელოთ და აწ მოსულდგმულეთა გასამხნევებლათ.

ამ მიზნით ჩვენ ვინებეთ ვუბოძოთ თფილისის სახალხო უნივერსიტეტის გამგეობას თავმჯდომარისა და წევრთა თვისთა დასარიგებლათ: ერთი დიუტინი მახათი, წმინდა ფოლადისა, კანაფის ძეწკვზე, იმ დაუღალავ მოღვაწეობისათვის, რომლის მოწამენიც ჩვენა ვართ და რომელსაც, უმეტეს ჩვენსა თვით ისტორია დააფასებს.

ნამდვილზე ხელს აწერს მათი უეშმაკეულესობა.

ეშმაკი I.

თვით მპყობელი „მათრახ-სალამურისა". და სხვ. და სხვ.

ფიქრებს.

შავ ფრთებ შესხმულო ფიქრებო!
გამშორდით, გამეცალენით,
აღარ გიხილოს მზემ დღისა,
შავს ჯურღმულს მიებარენით...

ჩემი სატრფოა ეს ჩანგი,
სიმნი — მოძმენი ჩემია,
იმათ იციან, რომ მოძმე
არ ოდეს გამიცემია;

არც მე გამცემენ ისინი,
იმედათ ეს-ღა მშთენია!
წათ, ფიქრნო! თქვენსა სავალსა
ეკლის ქაცვები ჰფენია...

ჩვენ გვინდა ერთად ვიმღეროთ,
შევთხზათ საამო ჰანგები:
ჩვენ ლხინშიც ვიცით ერთობა,
ჭირშიც ვართ ამხანაგები!

ფიქრები ჩვენი მტერია,
ოცნება-თანამავალი;
წინ გვეღობება ეკლნარი
შავი მთა გადასავალი.

ჩვენ ვერ შეგვაკრთობს ეგ ,ბნელი
მწყობრათ დაჰკრავენ სიმები,
მყის რყევას იწყებს ჰაერი,
შავბნელი, განამძიმები.

ქარი დაუვლის ხრიოკებს,
ჭალა-ტყეთ ბორცვებ-ველებსა,
დაჰბოჭავს, გააკრმტვერებს
შავი სიკვდილის ცელებსა.

ანაკადდება სიცოცხლე,
კვლავ აღსდგებიან იანი,
აზურმუხტდება ხრიოკი,
ცაც კაშკაშს იწყებს, მზიანი!..

ფიქრები. . შავი ფიქრები
ჯურღმულში შთაინთქებიან;
ცხოვრების ველზე კვალადვე
ვარდები აკოკრდებიან...

მაშ, შედრკით, შავო ფიქრებო!
თუ აღარ გამეცალებით,
მე დავმღერ ჰანგსა, სანიშნოს,—
თქვენ ჯურღმულს მიებარებით...

ნ. ზომლეთელი.

სეედა... იმედი.

—

ვით ეთერთაგან გაბრწყინებულ ლაჟვარდსა ცასა
მოულოდნელათ ღრუბლებისა ჯარი შეჰგრაგნავს,
და ბნელი ღამე თვალ-უწვდენელ დედამიწასა
სამგლოვიარო სუდარითა შავათ შემოსავს,—

ეგრეთვე მეცა, რა წამსაც კი წინ გადმეშლება
ცხოვრების ველი მოძმეების ძვლით მოკირწყლული,—
უსაზღვრო სევდა გულის სიღრმეს განმეწონება
და ცრემლთა ტბაში მიმოვცურავ აჩქურებული.

*
* *

მაგრამ, ვით მხარეს წყვდიადისა კალთით დაცარულს
ღილის მედროშე ელვარ სხივით გააბრწყინვალებს,
ბაღნარ წალკოტსა საზარ სუსხით დაშზრალ-დათრ-
თვილულს
ალმასის ცვრებით ააკოკრებს, ააყვავილებს,—

ეგრეთვე მეცა, როდესაც კი ვითვალისწინებ,
რომ კვლავ ბევრი ჰყავს მოტრფიალე საქმესა დიადს,—
ვგმობ სულ-მდაბლობას, კაეშანსა უკუ ვირიდებ
და იმედებით ცხოვრებისას ველი განთიადს.

დ. თურდოსპირელი.

უფასო განცხადებები

ეროვნული ბიბლიოთეკა

თფილისის ქართული გიმნაზია ეძებს გამოცდილსა და დამსახურებულ მასწავლებელს **უფროსი კლასებისათვის**

აუცილებელი პირობაა: მსურველს ქონდეს ენერგია, ანუ ძალ-ღონე

10 ЛОШАДИНЫХЪ СИЛЪ

ფრიად, გამოცდილი **სტუდენტი** (უკვე 14 წელიწადია ერთ ფაკულტეტზე!) ეძებს... **სტიპენდიას.**

„**ნოვაია რეჩის**" რედაქცია ეძებს გამოცდილ **რეპეტიტორს** სარედაქციო კოლეგიის წევრებისათვის, გასამრჯელო, სტრიქონი 3 კაპ.

მოხუცი, დიდი ხნის ნამსახური და დამბლა დაცემული

ჩინოვნიკი,

რომელსაც უკვე ეძლევა ხაზინიდან ოცი თუმანი პენსია, ეძებს ალაგს **თფილისის გამგეობაში,** თანახმაა თვეში 150 მანეთზე.

ჩვენში კარგად ცნობილი მოძღვარი

ვოსტორგოვი

ეძებს სამართალს, რომელიც პასუხს მოსთხოვს მას თფილისის გემნაზიებში ჩადენილ ბოროტ მოქმედებაზე.

საკმაოთ ცნობილი

დრამატურგი

ნიკო ხელხვავაანიძე,

ეძებს უხვსა და დაუზოგავ გამომცემელს თავისი 15 ხელნაწერისათვის. საჭიროა ძირითადი თანხა — **1200 მანეთი** —

გაზეთი „ციხე" ეძებს სარედაქტორო გამბედავ **ახალგაზრდას,** რომელსაც ვერ შეაშინებს **სახელი** გაზეთისა.

ბრწყინვალე თფილისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო კომისია აცხადებს, რომ გორის მაზრაში, უცხოთათვის ხელმისაწდომ ფასებში, იყიდება თავად ვახტანგ ეურდაღშვილის

მამული

სივრცით 1200 დღიური.

„მათრახ-სალამურის" რედაქცია ეძებს თავგანწირულსა და ერთგულ **კორესპოდენტს** ქალაქ ოზურგეთისათვის.

ღრმად პატივცემული პედაგოგი **იაკობ გოგებაშვილი,** პრესაში აღძრული კამათის გადასაწყვეტად ეძებს ერთ ცალ მოშინაურებულ

— **ოთოოფს** —

მნახველნი დიდათ დაავალებენ, თუ მოახერხებენ და გამოუგზავნიან მას „დედა ენის" რედაქციაში.

*
* *

სულის სილაღეე! შენს ნათელ სახეს,
ცის ციაგივით კაშკაშ-ბრწყინვალეს
რისთვის დაჰკვრია სევდის ღრუბელი—
მითხარ: — გაწვალეს?

—

ოჰ, თუ მაგრეა, ვაი შენს ორგულს,
რისთვის არ მიხმე შენათ მაშველად?
სისხლს შეურთავდი შენს ცრემლთ ნაკადულს
ბრძოლისა ველად!

—

მაინც დროს უცდი, დროს სანეტაროს,
ოჰ, დაჩქარე ჟამთ-ვითარებავ—
ნუღარ მომასმენ ხმას ვაებისას—
ჩაკვდი ყველრებავ!

გ. ქუჩაშვილი.

სამი გმირი!

აბდულ-გამიდი თვალთაგან მრისხანების ცეცხლს აფრქვევდა.

— მე დავუმტკიცებ იმათ, რომ გვირგვინოსანის ხელის შეხება უბრალო მომაკვდავთ არ შერჩებათ, არ ეპატიებათ! არა და არა!

— რას ინებებს მათი უდიდებულესობა ხონთქარი სრულიად ოსმალეთისა! შეეკითხა მოკრძალებით უზომოთ აღელვებულ ხონთქარს დიდი ვეზირი სასახლისა.

აბდულ-გამიდი მოტრიალდა, აღგზნებული თვალები ააღლო შემკრთალ ვეზირსა და მკაცრი კილოთი შეეკითხა:

— ჯარი რამდენი სდგას ჩემი დროშის ქვეშ? საომელო ჯარი?

— ერთი მილიონი, თქვენო უდიდებულესობავ! შეიძლება ცოტა მეტიც იყოს.

— ფიცხელი ბრძანება გაეცით: მზათ იყოს სალაშქროთ, გესმის, მზათ იყოს; გამოუცხადეთ, რომ თითონ მე გაუძღვები წინ.

აბდულ-გამიდი საწერ სტოლს მოუჯდა და მცირე ხნის შემდეგ დახვეული ქაღალდი გადასცა მოულოდნელი ამბით გაოცებულ ვეზირს.

— აი, ეს ბარათი დღესვე აწვდინეთ ჩემს მეგობარს, შახს სპარსეთისას გაჰომედ ალის. პასუხი დღესვე! გადი, მოსვენება მეკითხრება.

ვეზირი მსწრაფულ განეშორა დარბაზს, მაგრამ აბდულ-გამიდის აღშფოთებული ბუნება ჯერ კიდევ შორს იყო სიმშვიდისაგან. მას ვერ მოენელებია უბრალო მომაკვდავთაგან გვირგვინოსანის შეურაცხყოფა და ცეცხლ-მახვილით ეპირებოდა პორტუგალიელთა დასჯას.

*
* *

ას-ოთხმოცი ათასი კაცით აბდულ-გამიდმა უკვე გადალახა პირენეის მთები, გაიარა ესპანიის სატანტო ქალაქზე და პორტუგალიის საზღვარს მიუახლოვდა. სიამოვნებით იგონებს იგი თავისი ჯარის სისწრაფეს, და გმირულ-თავგანწირულებას დიდებული ხონთქარისათვის.

მან უკვე მიიღო ცნობა, რომ გაქცეული მეფე პორტუგალიისა, მანუელი, უკვე გამოვიდა გიბრალტარის სრუტიდან ოსმალეთის ძლიერი ფლოტით, და დღეს თუ ხვალ ლისაბონს-მოადგება.

აცნობეს აგრეთვე ისიც, რომ სპარსეთის შახი, ალი-მაჰომედი, ძლიერის დირიჟაბლების ფლოტით, უკვე აფრინდა ქ. ოდესიდან და ამ ჟამად მონბლანის თოვლიან წვეროზე დასცა ბანაკი, საიდანაც არწივსავით დაჰყურებს პორტუგალიის მიდამოებს.

ყოველი მხრიდან სანუგეშო ხმები და თანაგრძნობის ცნობები მოსდის ამაყოფილ სულთანს და მის სიხარულს საზღვარი არა აქვს.

მაგრამ... მის აღტაცებას ფრთა შეეხა, როცა ადიუტანტმა გენერ. ღუმბაძისა და ტოლმაჩევის დეპეშები გადასცა. ორივენი ერთგვარ ქებას ასხამდენ აბდულ-გამიდის გმირობასა და ძლევა-მოსილობას. პირველი პირდებოდა სამოცი ტერორისტი ებრაელის გაგზავნას, ხოლო მეორე ამდენივე ადესელი შავრაზმელისას.

— ოჰ, რა გულკეთილები არიან! მხიარულათ ჩაილაპარაკა აბდულმა და უბრძანა მადლობა შეეთვალათ მეზობლებისათვის. დახმარებაზე კი უარი სთქვა.

*
* *

საზარელი დილა გაუთენდა პორტუგალიას! ერთსა და იმავე დროს სამი მხრიდან დაეცა მას სამი გვირგვინოსანის რაზმი! აბდულ-გამიდი ხმელეთით, მანუელი,—ზღვით, ხოლო მაგომედ ალი ზეცით.

მართალია ხალხმა უკვე ხელი აიღო წინააღმდეგობის გაწევაზე და სრული მორჩილება განაცხადა, მაგრამ ეს სინანული გვიანი გამოდგა: აბდულ-გამიდმა ბრძანება გასცა მაგომედ ალის პატივსაცემლათ მარგილზე ჩამოეგოთ 1000 კაცი და როცა დიდებული ჰაერთა ბრძანებელი ჩამოვლილდა ჩირაღდნებივით აენთოთ. ესეც არ აკმარა მან დამარცხებულ ხალხს: ქალაქები მიწასთან გაასწორა, სოფლები გადაწვა, ხიდები დაანგრია და პატარა ბავშვებით დატვირთული გემები სტამბოლისაკენ გაისტუმრა. პორტუგალიის ტერიტორიაზე კი დაამკვიდრა დევნილი მეფე მანუელი.

მხოლოდ ყველა ამის შემდეგ მოისვენა აბდულ-გამიდის აღშფოთებულმა ბუნებამ და მშვიდობიანათ დაიძინა. დიდი ხანია მას ასე კარგად არ სძინებია, მაგრამ დიდი ხანია არც ასეთი საშიშარი სიზმარი უნახავს.

როცა მისი ძლევა-მოსილი ლაშქარი სტამბოლს მიუახლოვდა, მხოლოდ მაშინ გაიგო, რომ ოსმალეთში მის ტახტზე მაგომედ მეხუთე ასულა, რომ მის სასახლეში პარლამენტი შეკრებილა...

გაიგო, რომ სპარსეთის ტახტზე ახალი შახი დაუსკუპებიათ, რომ იქაც სახალხო მეჯლისი მოუწვევიათ...

ველარ მოითმინა ძლევა-მოსილმა ხონთქარმა ასეთი უმადურობა ქვეშევრდომთა, ასეთი ღალატი მეზობელთაგან და უბრძანა მხედრობას თავისიანებზე იერიშით მისვლა.

მხედრობამ უარი განაცხადა!!!

უზომოთ აღშფოთებულმა ხონთქარმა იშიშვლა ხმალი და გაიწია, მაგრამ საშინელი ტკივილი იგრძნო თვალები დააჭყიტა.

* * *

თურმე ნუ იტყვით, ყოფილ სულთანს სატუსაღო სასახლის კიბეზე ჩამოეძინა „ბარსელონის ამბების“ კითხვის დროს.

ეშმაკი

წარსულიდან!

(რუსეთი 1962 წელს)

(თარგმანი)

წლევანდელი ზამთარი განსაკუთრებით ცივი და სუსხიანი იყო.

გლეხები ისხდნენ სახლში, გარეთ გამოსვლა, სიცივეში ცხვირის გამოყოფა ყველას ეზარებოდა. ბავშვებმა თავი დაანებეს სკოლაში სიარულს, ხოლო დიასახლისებმა შეამოკლეს ჩვეულებრი მანძილი სეირნობისა. შეივლიდენ ან სანოვაგის მაღაზიაში, ან ელექტრონის სადგურში, სადაც მუდმივი უსიამოვნება მოსდიოდათ სადგურის გამგესთან ელექტრონის მოუწესრიგებობის გამო...

ბაბუა დავითი, თავის თფილ საწოლზე არხეინათ წამოწოლილი, სიამოვნებით ეალერსებოდა მის მახლობლათ მოგროვილ პატარა ბავშვებს.

— აბა, რო არ ვიცი რა გიამბოთ პატარა გიმეაკებო? აბა რა გინდათ, რომელი უფრო გეხალისებათ?

— ძველებური რამ, ბაბუა, ძველებური. სთხოვა გაბედულმა ლიზამ.

— ვიცი, ვიცი, რომ ძველი ამბავი, მაგრამ რა ამბავი?

— გუბერნატორებზე!

— აჰაა! გუბერნატორებზეეე? გააგრძელა მხიარულმა მოხუცმა. რატომ შეგიყვარდათ ეგრე, თქვე ცელქებო ეს ამბავი, ა? გუშინ წინ, გუბერნატორებზე, გუშინ გუბერნატორებზე, დღეს გუბერნატორებზე....

— სასაცილოა ძია! უცებ წამოიძახა ბიჭარა ვანომ. ძლიერ სასაცილოა!..

— ვანო! შენიშნა დედამ, რომელიც წიგნით ხელში იქვე მახლობლათ იჯდა ეგ რა სისულელეა, ა? ცხვირსახოცი არა გაქვს, რო ცხვირს ეგრე აფხუტუნებ და ნერვებს მიშლი?!

— მაშ გუბერნატორებზე, არა? ეშმაკურათ ჩაილაპარაკა მოხუცმა. მართალი ამბავი გინდათ ხომ?

— ნუ აპინაურებ, პაპაჯან! შენ ძლიერ სარგებლობ-ჩვენი მოთმინებით! შეელაპარაკა დინჯი კოტე.

— მაშ ყური დაუგდეთ, ბ-ნებო და ქალბატონებო... „ეს იყო დიდი ხნის წინეთ... მე არ მახსოვს ეს როდის იყო, შეიძლება სულაც არ ყოფილა“—უთქვამს ერთ მგოსანს. მაშ ეგრე, დავიწყოთ ვიატკის გუბერნატორი კამიშანსკიდან. წარმოიდგინეთ ბ-ნებო და ქ-ნებო, რომ ერთხელ, სრულიად მოულოდნელათ, გამოსცა მან ამგვარი დადგენილება: „ტენდენციური ხასიათის წერილების ბეჭდვასა, შენახვასა და გავრცელებაში შენიშნული პირები დაჯარიმებულ იქმნებიან, ხოლო თუ სახსარი არ აღმოაჩნდათ, ჯარიმა შეეცვლებათ სამი თვის დატუსაღებით!“

ვანოს დედამ, აღათმა, წიგნს თვალი მოაშორა და სმენათ გადაიქცა.

— დიაცა ერთი, მამილო, შენიშნა მან; როგორ? ტენდენციური ხასიათის წიგნი ხომ სრულებით არ ნიშნავს საწინააღმდეგოსა და სადანაშაულო რამეს? განა ტოლსტოი, დოსტოევსკი და სხვანი ტენდენციონურათ არა სწერდენ....

— ეჰ, ერთი შენცა! ჩაუცინა მოხუცმა, განა მაშინაც მაგას არ ეუბნებოდენ, მაგრამ ვინ იყო გამაგონე; მაშინ განსაკუთრებული წესები იყო მოდაში და ძალაში. და ისე ნუ კი იფიქრებ, თითონაც კანონის მცოდნე და მინისტრობის კანდიდატი იყო. დიდი ნიპის პატრონი ვინმე იყო, დიდის!

მოხუცმა მცირე ხნით სული მოიბრუნა.

— ეგ კიდევ არაფერია. საქმე აი ხერსონის გუბერნატორი იყო... გვარიც კი დამავიწყდა იმისი; ვგონებ ბანტიში იყო... იმან ერთხელ გაზეთი დაჯარიმა პეტერბურგის საგენტოს დეპეშების მოთავსებისათვის. ინგლისიდან იყო გამოგზავნილი და ვიღაც ლორდის სიტყვას გადმოგვცემდა. უჰ, რამდენი ვიცინეთ ამის შესახებ!!!

— გეშლება რადაცა, ბებრუკანა, შენიშნა ვანომ, პეტერბურგის საგენტო ეს ხომ მთავრობის დაწესებულებაა!! გვატყუილებ!!

— ვანო! არა გრცხვენია! შენიშნა დედამ.

მოხუცს კმაყოფილებით ჩაეცინა.

— არაფერია... განა ეგეთებს მოვსწრებივართ!.. რო გამახსენდება სიცილი გადამიტანს, ხოლმე. ვლადივასტოკის გუბერნატორმა კორეელების გაზე-

თი დახურა, რადგან შიგ იაპონიის წინაღმდეგ სწერდენ. სიმფეროპოლის გუბერნატორმა, მასალსკიმ, მძიმეთ დაჯარიმა „ტავრიჩანინი“ „ნოვოე ვრემიიდან“ წერილის გადმობეჭდვისათვის. ოო, ის ისეთუ გონიერი, ისეთი სამაგალითო გუბერნატორი იყო! აი ის იყო ქუჩებში პატარა გინაზისტებს რო იპერდა... რომელნიც ქუდს არ უხდიდენ, და ატუსაღებდა. ისინი კი, ის პატარა ყვაპები, ტირილით ეხვეწებოდენ: „რისთვის, ძია? რას გვერჩიო?“ „იმისთვის, რომ მთავრობას პატივს არა სცემთ, მე ქუჩაში ვერა მცნობლობთო“ „ჩვენ ვერ გიცნობდით? მაშ აი მიბრძანდით სატუსაღოში და შემდეგ გამიცნობთ!“ ძლიერ მხიარული და ლმობიერი ადამიანი იყო, ძლიერ!!

მოხუცმა თავი ჩაღუნა, ჩაფიქრდა, სახეს კი ნელი და გულწრფელი ღიმილის შუქი მოეფინა..

ტელის გუბერნატორი მურატოვიც კარგათ მახსოვს... ერთხელ იგი ერთ ოფიციალურ ნადიმზე მიიწვიეს.—„მოვალო“, შემოსთვალა,—თუ სუფრაზე ებრაელი ვინმე არ იქნებაო“. „ერთად-ერთი, ბანკირი, იქნებაო“ შეუთვალეს. „მაშ მე არ ვიქნებიო“, უპასუხა და არც მისულა. აი, ასეთი კაცთ მოყვარული და ალერსიანი კაცი იყო...

ტელეფონის ზარის წკრიალმა შეაწუვეტინა მოხუცს წარსულზე ლაპარაკი. ლიზა საჩქაროთ მიიჭრა ტელეფონთან და სხაპა-სხუპით ჩაულაპარაკა:

— ვინ არის? ძია ფილიპე? მამა არ არის სახლში. ის მებაღეთა კრებაზეა. რაო? რა წიგნი გინდა? მოპასანი? „ბელ ამი“? ძალიან კარგი, ძალიან კარგი, ეხლავე ვკითხავ დედას. თუ გვაქვს, უთუოდ გამოგიგზავნის.

ლიზა ისევ უკან მობრუნდა და ბაბუას მუხლებზე ჩამოწვა.

— კიდევ, კიდევ ბაბუა რამე გუბერნატორების შესახებ.

— კიდევ, კიდევ! კარგი, მაგრამ რო აღარ მახსოვს?...

მოხუცს ეშმაკურათ ჩაეცინა.

— მოგწონთ არა? აი თქვე ეშმაკებო, თქვენა! დიახაც მოგეწონებათ!.. აი ადესის გუბერნატორი ტოლმაჩევიც კარგათ მახსოვს. დიდი კეთილშობილი და შმაგი კაცი ბრძანდებოდა!.განსწავლას არ იტყვით? ნამდვილი ბრძენი, ნამდვილი მეცნიერი!! როცა პრეპარატი „606“ გამოიგონეს მის აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა.—„ვინ გამოიგონა ეს გენიოსური საშვალება? ერლიხმა? ურიამ? ოოო! არას შემთხვევაში ნებას არავის მივცემ ჩემს ადესაში ურიის მოგონილი წამალი იხმაროს. არას დროს! არ შევარცხვენ მე ჩემს ქალაქს ამ შარლატანის მოგონილი წამლით, აბა!“ ძლიერ გულშემატკივარი და მტკიცე კაცი იყო, ძლიერ!

ძველ ამბავთა მოგონებამ მოხუცი ძლიერ გაოაცოცხლა და გაამხიარულა.

— გენერალი დუმბაძეც კარგათ მაგონდება ოოო, რა მოფიქრებული და ალალი კაცი.

— როგორ? დაფიქრებული.

— დაფიქრებული მაშ, მაშ! დაჯდებოდა ხოლმე, მძიმეთ და ხანგრძლივათ ჩაფიქრდებოდა. ბოლოს იკითხავდა: „არის ჩვენ ჯარისკაცებში ებრაელები?“ „არისო“ უპასუხებდენ.—„გიგზავნოს ეტაპით!“ აგზავნიდა ყველას: ზღვაში მობანავეებს, მათ მაყურებლებს; ყველას ეტაპითა და ეტაპით! დიდი მოყვარული და მცოდნე იყო ეტაპებისა...

დიდხანს, კიდევ დიდხანს ისმოდა მოხუცის ტკბილი ხმა სხვა და სხვა გუბერნატორთა შესახებ და შეუსუსტებელი ხალისით უსმენდენ სულ განაბული ბავშვები.

გარეთ, ქუჩაში კი საზარელი ზუზუნი გაჰქონდა ქარს და თოვლის კორიანტელს აყენებდა. ხშირად შემოიჭრებოდა ოთახში ავტომობილთა საყვირის მკვახე ხმა და მატარებლის კივილი.

(„სატარიკონი“) *არკადი ავერჩენკო.*

უკვეშევრდომილესი მოხსენება

ტარტაროზ გუბერნატორისა.

მაშხალაო ჯოჯოხეთისაო, მეფეო ბნელეთისაო, დიდო მთავარო ქვესკნელისაო, მბრძანებელო ზესკნელისაო და სხვ. და სხვ. და სხვ.

წარმოვავლენ წინაშე თქვენსა ამა მოხსენებას შესახებ დღევანდელი ვითარებისა ცხოვრებისა ჩვენისა და ისმინე იგი:

ამა მიმდინარე წლის 22 ენკენისთვეს, ნაშუაღამევის პირველ საათზე, პორტუგალიის მეფე მანუელი, უდროოდ ჩამოვარდა ტახტიდან. მართალია ეს ჩამოვარდნა ღამით მოხდა, მაგრამ ის არ იყო სიზმარი და ამიტომ ლუარსაბ თათქარიძის ტახტიდან ჩამოვარდნას ბევრით არაფრით მოგვაგონებს.

„საყვარელმა“ მეზღვაურებმა ის 21 ზარბაზნის ყუმბარით გამოადვიძეს და საშვალება მისცეს ადრიან შესდგომოდა მგზავრობას, რამეთუ შესაძლებელი იყო მეორე დღეს მეტის მეტი სიცხე დასდგომოდა. პირენეის ნახევარ კუნძულზე საზოგადოთ ხშირი სიცხეები იცის.

ტახტს მემკვიდრე აღარ გამოუჩნდა და გულმოსულმა ხალხმა მასზე ბ-ნი თეოფილე ბრაგა დასვა, მაგრამ, ვინაიდან ერთი კაცისათვის ამოდენა ტახტი დიდი, ფართე გამოდგა, მანაც იშოვნა ამხანაგები და შეადგინა დროებითი მთავრობა. აი ეს დროებითი მთავრობა იმოქმედებს 6 კვირის განმავლობაში, სანამ დამფუძნებელი კრება არ იქნება მოწვეული, რომელიც კონსტიტუციას გამოიმუშავებს. ყველა გაზეთები ერთხმად აღნიშნავენ რესპუ-

ბლიკანელების საუცხოო დისციპლინას და თავაზიანობას. ლისაბონში ცხოვრებამ ნორმალური მსვლელობა მიიღო მთავრობამ განკარგულება მოახდინა, რომ ვაჭრებს შემთხვევით არ ესარგებლათ და საზოგადოებაზე ფასები არ აეწიათ. მოგეხსენებათ ხარბნი ორიან მოვაჭრენი. ტელეგრაფი მუშაობს, მისვლა-მოსვლა განახლდა, უცხო სახელმწიფოების ქვეშევრდომთა სიცოცხლე და ქონება უზრუნველყოფილია. ბეკვდითი სიტყვას მინიშებული აქვს სრული თავისუფლება, დატუსაღებულ როიალისტ აფიცრებს კარგათ ეპყრობიან. მეფის უძრავ-მოძრავ ქონებას სეკვესტრი დაადვეს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელებთან ყველგან რესპუბლიკანელებს ნიშნავენ. პროვინციების გუბერნატორები თანამდებობიდან გადაყენეს და სხვ.

ამავე ენკენისთვის 26, დღითი კვირას, ქართული თეატრის სცენაზე გვიჩვენეს ჩვენი ძველი „სამშობლო“ მთელი თავისი სიგრძე-სიგანით. უნდა გამოგიტყდეთ, რომ სცენაზე ის უფრო გრძელი, თუ ფრაცელი გამოდგა, ვიდრე მართლა არის. სანუგეშო, რა თქმა უნდა, ბევრი ვერაფერი ვნახეთ და, თუ შეიძლება კაცმა თავისი სივაგლახე, სხვისი ზედმეტი სივაგლახით გაიქარვოს, მაშინ ჩვენც ბედის მადლიერნი უნდა ვიყოთ, რამეთუ ჩვენი უბრალო თავადშვილები გაცილებით სჯობდნენ სპარსეთის ვითომდა ძლევა მოსილ შახს. მე სცენაზე მოგახსენებთ რა თქმა უნდა! მართალი მოგახსენოთ, ეს მრისხანე შახი-აბაზი კი არა ნამდვილი თფილისელი მექისე იყო, რომელიც აბაზათ მთელი საათის განმავლობაში გზელს. განა ასეთი უნდა იყოს შახი? რასაკვირველია არა, მაგრამ ეს ჩვენი „სამშობლოს“ სივაგლახეს რა თქმა უნდა არაფერით ამცირებს.

როვოლიუციის ტალღა პორტუგალიიდან ჩვენს სამშობლოში გადმოგორდა და „ზაკავკაზიეს“ რედაქციაში შეიპრა. გთხოვთ გულდამშვიდებით ბრძანდებოდეთ და დიდი არაფერი წარმოიდგინოთ. მოხდა მხოლოდ უბრალო „გადატრიალება“ (переворотъ). ეშეკვნის გასაფანტავათ საპიროთ ვცნობ გაუწყოთ, რომ ბ-ნს გიორგი ამირეჯიბს არავინ არ გადაუტრიალებია. ის ამ ბოლო დროს სრულიადაც არ არღვევს თფილისელ ჟურნალისტთა მშვიდობიან ცხოვრებას. მოხდა ის, რაც კარგა ხანია უნდა მომხდარიყო და რაც გრიგოლ დიასამიძის აზრით: ეწინააღმდეგება გულწრფელი ადამიანის თვალთა-ხედვის წერტილის ისრის მიმართულების მიდრეკილებას. სახელდობრ, „ზაკავკაზიეს“ რედაქციაში შეიპრა ქართველი თავად-აზნაურობრობა და გამოაცხადა „დროებითი მთავრობა“. არჩეულ არიან: პრემიერ მინისტრათ: გ. ა. ბაგრატიონ-დავითაშვილი; შინაგან საქმეთა,— დ. ე. ჩოლოყაშვილი; სამხედრო მინისტრათ - დ. ა. გურამიშვილი; ფინანსთა მინისტრათ—მ. ვ. მაჩაბელი და გარეშე საქმეთა მინისტრათ დ. ფავლენიშვილი. ამის, გამო წევრნი ძველი მთავრობისა, რომლენიც შეიარაღებულ იყვენ მხოლოდ მარტო მაკრატლებითა იძულებულნი გახდენ, გაქცეულიყვენ, თითქმის უბრძოლველათ.

პატივი მაქვს აგრეთვე გაუწყოთ ის დაუღალავი და მტკიცე ენერგია დასავლეთ საქართველოს სამღვდელოებისა, რომლითაც ის „ეკრიბება“ ეგრეთ წოდებულ დრამა ფულებს. მწყემსთა და მოძღვართა შორის დამოკიდებულის გასამწვავებლათ ამაზე უკეთეს საშვალებას ვერც თქვენი შორს მხედველი გონიერება მოიგონებდა და ჩვენს მთავრობასაც სხვა რაღა დარჩენია, თუ არ ხელის შეწყობა ამ სიძულვილის გასაღვივებლათ. უნდა მოგახსენოთ, რომ, გარდა ჭეშმარიტ ქვეშევრდომ ეშმაკებისა, დიდს ფხასა და გამოცდილებას იჩენენ ეგრეთ წოდებული ბოქაულ-სტრაჯნიკები, რის გამოც მოვითხოვ თქვენი უეშმაკეულობისაგან მათდამი ქების ღრამატას.

შესახებ „ოფოფის“ ძახილისა და აგრეთვე თავადაზნაურთა ქართული გიმნაზიისა, განსაკუთრებული კომისიის მიერ მზადდება ვრცელი და მიუდგომელი მოხსენება, რომელსაც ახლო მომავალში წარმოუდგენს თქვენს დიდებულებას. აქ მხოლოდ გაკვრით აღნიშნავ იმ სასიამოვნო გარემოებას, რომ ოფოფის საკითხმა მიიქცია ისეთი დიდი ავტორიტეტის ყურადღება, როგორიც ცნობილი მუსიკოსი ლავრენტი წერეთელია, რომელიც ეზოობელი ყოფილა იაკობ გოგებაშვილისა. ამიტომ იმედი უნდა ვიქონიოთ საკითხს მაღე მოეღება ბოლო.

ხე-კა-კუ-ნა.

ხვანჭკარის მესტვირე

დაუკარ, ჩემო ქამანჩავ,
დაუკარ დელა, დელია,
თორემ, ხო ხედავ, დაგვჩაგრეს,
აგვაღებინეს ხელია.
მას აღიღინებს გურული,
მეგრელი, იმერელია,
და რომ რაკველი ჩამორჩეს
აბა რა საკადრელია?!!
მაშ რაღას გავჩუმებულვართ?
ვიჩქაროთ აღიღინება,
მითი ბევრ სმენას დაატკბობ,
თუმც ბევრსაც მოეწყინება.
მაგრამ რას ვჩივით მე დაშენ
მტერს ყური თუ ეტკინება
პირ იქით, მათი კუნტრუში
კიდევაც გაგვეცინება.
სოფლის წურბელნი მოვნახოთ,
იმათსა მოვყვეთ ქებასა,
რამეთუ გასატყავებლათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ ზოგვენ შვილს და დედასა.
„გამოსარჩენებს“ ეტრფიან,
ურცხვათ ივსებენ ქესასა,
მტკუანსა საქმეს უჩარხვენ
(ის ჯიბეს დაიბერტყავსა).
მართალი თავსა იქექავს,
ხელებს აღაპყრობს ზეცასა,
მაგრამა ზეცაც არად სთვლის
თავისა იმის ქექასა.

ვაკაცსა კარგსა ამბობენ
ჩვენს მამასახლის, (ქერასა)
რომელიც, როცა საქმეს თხოვ,
ჯიბეს დაგიწყობს ცქერასა
და თუ შეზვერა ქანქარი
გული აუტეხს ძგერასა...
(თუ ცოტა არ იმას ქენი,
ვერ გაარიგებ ვერასა).
თუ საქმისათვის ოჯახში
წამოგისკუბდა კერასა
და ვერ გაუღენთე ნუნუით,
ვაი შენს ბედის წერასა,
ხომ იცით, დიდი ძალა აქვს
ყელისა ჩასაფერაგსა!!

აგენტათ მიხა დაყობა
ჩვენი ჯიბიას ძმობილი,
ფულის მაგიერ, ვექსილსაც
იღებს ეგ კეთილ'მობილი,
გლეხების პატივდებაში
ხელი აქვს გამოწრთობილი.

ეგრე გენაცვა, ქამანჩავ,
ჯერ არ ამაღო ხელია,
აუწი, უნდა შეეამკოთ
მეორე ტოლის ღვდელია:
ცხვარი რო მიაქვს საკურთხათ
და არ უძღება გულია,
თუ „საცხონებლათ“ სათბილოს
არ დაუმატე ფულია...
დურმიშხანობის მოწმობა
ჯიბეთ აქვს შენახულია.

ხვანჭკარელი მესტვირე.

ბოროდოკი. (ბათუმის მხარე)

აქ გაჩნდა საშინელი სენი „ენის ქავილი“ პირველათ ამ სენით ავათ გახდენ „მეპორეთა კავშირის“ ბიუროს წევრები: მიკიტნის ვანოს ცოლი მარო, სტრაფიკის გოგო აგრაფინა და ეფროსინე. მოსალოდნელია ეს უკურნებელი სენი სხვა კავშირის წევრებსაც გადაეედოს; საჭიროა უკვე ნაცადი სპერმაკუდინი, რადგან მათრახის კუდმა ნახმარმა ქმარის მიერ, არავითარი გავლენა ამ ავთმყოფობაზე არ იქონია. —

„ნაცნობი“.

გაფიცვა

შავი ზღვის პირის ხმოსანთა ორგან.

კარგა ხანია ქ. სოხუმიდან და ბათუმიდან ჩვენი სატახტო ქალაქის გაზეთებს ერთგვარი დეპეშები, თუ კერძო წერილები მოსდის: „ხმოსანთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობისა გამო, მორიგი სხდომა საბჭოსი ვერ შესდგა“.

ჯოჯოხეთის მთავრობა ძლიერ დააფიქრა ამ გარემოებამ, რადგან სადაც მოქმედება შეჩერებულია, იქ არც საეშმაკო მასალას აქვს ადგილი და ეს უკანასკნელი ვერაფერი სასურველი საქმეა.

ამისა გამო აღნიშნულ ქალაქებში გაიგზავნა ცალკე კომისია, რომელსაც უნდა გამოეკვლია ზღვის-პირელ ხმოსანთა ესე ვითარი გულგრილობა და გაეგო იმისი ნამდვილი მიზეზები.

კომისიამ მოინახულა ორივე ქალაქები, დაჰყო თითოეულ მათგან'ში საკირო დრო და წარმოგვიდგინა დასაბუთებული მოხსენება ზღვის-პირელ ხმოსანთა დღევანდელი ვითარების შესახებ.

გამორკვა, რომ, „შავი-ზღვის პირის ქალაქთა ხმოსნებს შეუდგენიათ მჭიდრო ორგანიზაცია, რომელსაც ეწოდება „გაფიცვის ტალღა“. ორგანიზაციაში ჯერ-ჯერობით შედის მხოლოდ სოხუმისა და ბათუმის ხმოსანთა უმრავლესობა. ქალაქი ფოთი, როგორც შეუგნებელი, ჯერ-ჯერობით მხოლოდ თანაუგრძნობს კავშირის მიზანს.

მიზანი „გაფიცვის ტალღისა“ მდგომარეობს იმაში, რომ აიძულონ ჩინეთის მთავრობა: დაჩქაროს კონსტიტუციის შემოღება მათდამი რწმუნებულ იმპერიაში. ამ საშვალებით გაიაფდება ჩაი და ყოველი სხდომის დროს ხმოსნებს მიერთმევა არა ერთი, არამედ ორი-სამი სტაქანი ჩაი, ან ვისაც რამდენი მოესურვება.

ამ მიზნის მისაღწევად ხმოსნებმა გადასწყვიტეს არ დაესწრონ საბჭოს კრებებს, რაც უნდა საჭირო საკითხი ირკვევოდეს, არ შეუშინდნენ არავითარ მოქმარას და ყური არ ათხოვონ არავითარ მუდარას, ვიდრე მათი მოთხოვნილება: ჩინეთში კონსტიტუციის შემოღებისა და მით ბათუმ-სოხუმში ჩაის გაიაფების შესახებ, ასრულებულ არ იქნება.

მხარი დაუჭირეთ მოქალაქენო თქვენს ღირსეულ წარმომადგენლებს! მათ თავ-განწირულ ბრძოლას!!.

გვრიტი.

აი, რასა გეწერენ პროვინციიდან!

გუდაუთი. ბ-ნო ეშმაკო! გთხოვთ უმორჩილესათ: განუმარტოთ ჩვენი დაბის მცხოვრებთ, თუ რას ნიშნავს „ინტელიგენტი“ და „ინტელიგენცია“. მათი აზრით კი ინტელიგენტს შემდეგი თვისებები ახასიათებენ:

აცვია ტანზე ევროპიული ტანისამოსი, თეთრი საყელოთი, თუმცა საყელოს მაინცა და მაინც დიდი მნიშვნელობა არა აქვს.

ჭირივით გაურბის შრომას, როგორც ფიზიკურს, აგრეთვე გონებრივს.

დღე და ღამეში 15 საათს ატარებს ამა თუ იმ ყავახანაში, რომელიც ჩვენს დაბას, მაშინდა საკეთილ-დღეოთ ბლომად მოეპოება.

უყვარს მყვირალა ფრაზებით ლაპარაკი სხვა და სხვა, მისთვის გაუგებარ საგნებზე, როგორც მაგალითად ხელოვნებასა და პოეზიაზე, თუმცა პოეტის სიახლოესაც *) არ გაუელია.

ჭამა-სმა და ქეიფი ძლიერ უყვარს და დიდი მოტრფიალეც არის ამისი.

ემტერება გაზეთებს და ჟურნალებს, ხოლო ეალერსება ნარდსა და კამთლებს.

ეს დახასიათება ჩემის აზრით არ შეიძლება ყველა ინტელიგენტის აუცილებელ მივაკუთნოთ, მაგრამ რაც შეეხება დ. გუდაუთის „ინტელიგენციას“, მასზე კი სწორე მოგახსენოთ, ზე გამოჭრილია. ახლა გთხოვთ გაგვირკვიოთ, თუ რანაირი უნდა იყოს ნამდვილი ინტელიგენტი. **მაშხალა.**

სოფ. ხაშმი. მშვიდობა შენა ეშმაკო!
მოგიძღვნით მადლობასაო,
ხაშმისა ინტელიგენტთა
მკვდრეთითა აღდგომასაო.
იმათსა გაღვიძებაში
ჯოჯოხეთს სდებენ ბრალსაო;
ხელი აიღეს ღვინოზე,
ერთს ვერ შეხვდები მთვრალსაო
წარმოდგენებსა მართავენ
იწვევენ კაცს, თუ ქალსაო,
სამკითხველოსაც უღებენ
ადრე დახუმულ თვალსაო
მაშ ნუღა მოხვდეს მათრახი
იმათ რბილსა და ძვალსაო.

ხაშმელი ტურა.

ყვირილა. ძმაო ეშმაკო! მოგითხრობ
საქმესა გასახარელსა,
ავიბარგე და დავდივარ
ზღვის პირ ქალაქის მხარესა,
იქ ენახე ამხანაგები
და იმათ დამბაარესა,
რომ ჩავუარო ყვირილას
იმა — დროთ განამზარესა.
— ყვირილის სადგურს ჩამოველ
კოწია იდგა კარებსა,
მან თითის ქნევით მანიშნა:
ჩაგიყვან იმა მხარესა
წაქაძის კლუბი რო ჰქვია,
გულისა ვასახარესა.
იქ ნახავ ყველას თავ მოყრილს
მოთამაშესა ვაკებსა.
დიდ ბესარიონს გაგაცნობ,
სტომაქი უგავს ბარკებსა
მასთან პატარა ნიკოლას,
ენას რომ ატანს აჯებსა.
საღამოს ჩვენი ნოქრები
ჩაკეტვენ დუქნის კარებსა,
და იმედები სულყველას
კლუბისკენ მიაჩქარებსა...
მათ მოუხდება მათრახი,
თუ მანდ არ დაიზარესა,
მეტი იქნება, არ აწყენს,
ჭკუაზე მოაგვარებსა.

ვთქვი, ვინახულებ აგრეთვე
ჩვენი თეატრის კარებსა,
მაგრამ რას ნახავ! სურათი
მტერსაც კი გაამწარებსა:
შიგ ღორს გოჯები უყრია
პატრონ თვალ-დასათრარელსა.
ღორისა ჰატრონს რას ვერჩი
როცა სხვას ვხედავთ ვარესსა,
აქაურ ინტელიგენტებს
თვალით მის შემყურვალესა,
დარდი რო აღარ აწუხებს
უბადრუკს, შესაბრალესა.
მე ძაან მიკვირს, ხოლერამ
მათ რად არ ჩაუალერესა.
ამ ერთსაც გეტყვი საამოს:
მასწავლებელსა ქალებსა,
საქმენი შემოლევიათ,
ერთმანეთს სთხრიან თვალებსა
ავეჯეულთა გაყიდვით
გული ვერ გაიხარესა,
მაგრამ ანიკომ ლანძღვაში
სძლია ყოველსა მხარესა.
სამკითხველოსაც აკიებს,
არც არის მონათლულია,
ყელში აუტყდა ხროტინი,
ლამის დალიოს სულია.
მოსანათლავი ქანქარი
ერთ-ერთ ბანკს შეუწირია,
მაგრამ ჯერ არსად არა ჩანს,
სნეულს კი ძლიერ სჭირია..
მოხედე ამა კუთხესა
ეშმაკის ძეო, გზნეულო
ჩამოდი ერთი მათრახით
კოტტად კუდ წამოწეულო.

ოტელლო.

*) ამას ვერ დავიჯერებთ, რამეთუ ძნელი წარმოსადგენია ქართველი კაცი არა პოეტი და მით უმეტეს წარმოუდგენელ იქნება ქართველ კაცს „პოეტის სიახლოეს არ გაეგლოს!“ **ეშმაკი.**

ტფ., ელექტრო-მბეჭდავი „შრომა“ გ. ბოლქვაძისა რუსის ქ. № 3. რედაქტორ-გამოცემელი ნ. სულხანიშვილი.

ТФИЛИСИ, ВОЛОДЗИНИС ПРОСП. № 6, ТЕЛЕФОНИ № 481.

ხილეულის სამკურნალო წყალი

მ. ლალიძის და ამხ.

ჩვენი ქარხნის წყალი

შზადდება მხოლოდ ბუნებრივ, ქიმიურად დაწმენდილ, ხილის წვნით და საუკეთესო ხილეულის შარბათით, გამოხდილის წყლითა და წმინდა შაქრით.

წელდ შზადდება კუმჯობესებულ მანქანებით სპეციალისტის ხელმძღვანელობით.

მისი კარგი ლირსება დაჯილდოვებულია

ოქროს და ვერცხლის დიდი მენდლით

„ზოგისა ბამბა ჩხრიალებს, ზოგის კაკალიც არარ“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოლერა. ძვირფასო მასპინძლებო! მე ვიცი ქალაქის ბდნავ შესუფთავებას თქვენ მოგაწერენ, მაგრამ მაინც გმადლობთ გულწრფელი სტუმართ-მოყვარეობისათვის. აბა, თვალი გადაავლეთ ამ მიდამოს! ახლა ვგონებ დროა წასვლისა. მაშ ნახვამდის! გაზაფხულამდის!